



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 82

ქალაქი ქუთაისი

30

მაისი

2018 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების,
პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), მოქალაქე
ნანა გუმბერიძისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე,
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის
თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის, ანგარიშსწორებისა და მუნიციპალიტეტის ქონების ტოლფასი ქონების ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ფიზიკური ან/და კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის მუნიციპალიტეტის ქონების საკუთრებაში გადაცემის დამატებითი წესებისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და მოქალაქე ნანა გუმბერიძის 25.12.2017 წლის №30318/01 და 12.02.2018 წლის №3961/01 განცხადებების შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, გიორგი ჭიღვარიას მოქალაქე ნანა გუმბერიძისათვის (პირადი №60001149803), პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, კერძოდ, ქალაქ ქუთაისში, ი.ჭავჭავაძის გამზირი №28, №26, №24-ის სამხრეთით მდებარე ტროტუარის ნაწილის (ფართობი: 4,0 კვ.მ.; საჯარო რეესტრის ამონაწერის №03.04.30.423) ხუთი წლის ვადით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

მუხლი 2. წლიური საიჯარო ქირა განსაზღვრულია სახელმწიფო შესყიდვების 18.01.2018 წლის №12 ხელშეკრულებით გამარჯვებული ინდივიდუალური აუდიტორის, დავით რობაქიძის №002/8-17 დ.რ. 25.02.2018 წლის დასკვნის საფუძველზე, რომელიც შეადგენს 400,0 (ოთხასი) ლარს.

მუხლი 3. მოქალაქე ნანა გუმბერიძემ (პირადი №60001149803), სარგებლობაში გადაცემული ქონება გამოიყენოს კიბის უჯრედის მოსაწყობად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურთან შეთანხმებული პროექტის მიხედვით.

მუხლი 4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, გიორგი ჭიღვარიამ უზრუნველყოს იჯარის ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 5. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 7. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე

ნიკოლოზ ლატარია